საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, მარი ბროსეს ქუჩა, ნაკვეთი №6



აეროფოტო 2010

შემსრულებელი; ხელოვნებათმცოდნე მაია იზორია

შ.პ.ს. არქიტექსი

2011 .



- **საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა**

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს თბილისის მთავარი არტერიის, **რუსთაველის პროსპექტის** შუაწელსა (იქ სადაც ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრია) და **მტკვრის მარჯვენა სანაპიროს** ერთმანეთის პარალელურად განლაგებულ ჰორიზონტალურ ღერძებს შორის მოქცეულ მიკროუბანში, რომელიც ისტორიული ქალაქის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეს ადგილი ისტორიულად **გარეთუბანს,** ხოლო ადმინისტრაციულად **ძველი თბილისის გამგეობას, მთაწმინდის ზონას** ეკუთვნის. იგი გარეგნული იერითაც თბილისურ ხასიათს ატარებს. საპროექტო მიწის ნაკვეთი მიკროუბნის სიღრმეშია განთავსებული და მისი დაქანებული რელიეფის თითქმის შუაგულში ხვდება. საკმაოდ ვრცელი ტერიტორია დაკვალულია გამზირისა და სანაპიროს მაგისტრალებზე გამომავალი ურთიერთგადამკვეთი ქუჩების ქსელით.

მთიანი რელიეფის მაღალ ტერასაზე გაყვანილ გამზირიდან მიკროუბნისაკენ დაღმართად ჩავყავართ **რ.ლაღიძის** პერპენდიკულარულ ქუჩას, რომელიც შუაწელში იკვეთება რუსთაველის პარალელური **რ.თაბუკაშვილის** ქუჩით. ამის შემდეგ რ.ლაღიძის ქუჩა მარჯვნივ მკვეთრად უხვევს და სანაპიროდან ხეივნულად ამომავალი **მარი ბროსეს** ქუჩით გრძელდება, რომლის რთულ რელიეფს სხვადასხვა სიძლიერის დაღმართები ავლენს. თავდაპირველად, საკმაოდ გრძელ მონაკვეთზე იგი დამრეცად (რ.თაბუკაშვილის პარალელურად) მიუყვება ქვაფენილიან გზას და ამჯერად მკვეთრად უხვევს მარცხნივ, სადაც **რ,თაბუკაშვილის შესახვევის**

პერპენდიკულარულ ქუჩას იერთებს და თავდაღმართით ეშვება ქვემოთ. ამ მონაკვეთის ქვედა კუთხეში (საპროექტო ნაკვეთის მხარეს) იგი თავისივე სახელობის ჩიხის მოკლე ტოტით მარცხნივ იჭრება და კვლავ მკვეთრად ტრიალდება მარჯვნივ. ამის შემდეგ, ისე როგორც დასაწყისში, საკმაოდ გრძელ მონაკვეთზე ქუჩა ირიბად აგრძელებს გზას და მარცხენა ძლიერი ბრუნით პირდაპირ ეშვება სანაპიროსაკენ. ამ მოსახვევის მარჯვენა კუთხიდან მარი ბროსეს ქუჩას **ჯამბულის** ვიწრო, განაპირა ქუჩის არასწორი რკალი შემოუყვება, რომელიც რ.თაბუკაშვილის ქუჩის პარალელურ ღერძამდე აღწევს და ქვა-კიბით უკავშირდება მას. სანაპიროს ქვედა ზღვარზე მარი ბროსეს ქუჩა კიდევ ერთხელ იტოტება და **ს.ვირსალაძის** აღმა ამავალი (ალექსანდრეს ბაღისაკენ) ქუჩით სრულდება. დღესდღეობით, მარი ბროსეს ქუჩა და მისი გადამკვეთი ქუჩების ქსელი მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და პროსპექტის, აგრეთვე ალექსანდრეს ბაღის მიმდებარე ტერიტორიის ერთმანეთთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს.

უბნის ამ მონაკვეთში განთავსებულია არაერთი **ძეგლის სტატუსის** მქონე არქიტექტურული ძეგლი და ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობა:

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია არქიტექტურული ძეგლები:

მარი ბროსეს ქუჩის კენტი ნუმერაციის საცხოვრებელი სახლები №3,5,7,9,11., ლუწი ნუმერაციის საცხოვრებელი სახლი №4. აქედან სახლი №3 ფასადით გადის რ.თაბუკაშვილის №27 მისამართზე, სახლი №11 ფასადით გადის ჯამბულის ქუჩა №16 მისამართზე.



1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ნოემბრის №706 დადგენილების დანართი.

2. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 10 მარტის №185 გადაწყვეტილების დანართი №4.

3 საქ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2007 წლის კულტურული მემკვიდრეობის/უძრავი ძეგლების შესახებ არსებული დადგენილება

• ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება

მ.ბროსეს ქუჩა – მოქცეულია რ.ლაღიძისა და ს.ვირსალაძის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX საუკუნის 30-იან წლებში და 1902 წლამდე **ვოდოვოზნაიას** სახელს ატარებდა. დაპროექტა მიწიმზომელმა ტოვარნიცკიმ. თავდაპირველად წარმოადგენდა რ.ლაღიძის ქუჩის ნაწილს და **ბოლშაია ვოდოვოზნაიას** სახელით იყო ცნობილი, რადგან მეთულუხჩეები ამ ქუჩით ეზიდებოდნენ მტკვრის სანაპიროდან წყალს. 1902 წელს, მ.ბროსეს 100 წლისთავთან დაკავშირებით ილია

ჭავჭავაძის ინიციატივით ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა თხოვნა, რომ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას დარქმეოდა მისი სახელი. იმავე წლის 11 მარტს ქალაქის თვირთმმართველობის გადაწყვეტილებით II საპოლიციო უბანში მდებარე „ვოდოვოზნაიას“ ქუჩას დაერქვა მისი სახელი. აქვს 1 ჩიხი

რ. თაბუკაშვილის ქუჩა – 1809 წელს დააპროექტა პოლკოვნიკმა ბანოვმა. 1851 წლის გეგმაზე **საპიორნაიას ქუჩის** სახელითაა აღნიშნული. 1867 წლის გეგმაზე გვხვდება **სალდათის ქუჩის,** ხოლო 1884 წლიდან – **ბაზრის ქუჩის** სახელით. საბჭოთა ხელისუფლების დროს ორი ქუჩის, ბაზრისა და საპიორნაიას ქუჩების შეერთებით წარმოქმნილ ქუჩას თავდაპირველად **ბორის ძნელაძის,** მოგვიანებით **იოანე პეტრიწის** სახელი ეწოდა. აქვს 1 შესახვევი

რ.ლადიძის ქუჩა – წარმოიქმნა XIX საუკუნეში. თავდაპირველად ცნობილია **ევანგულოვის** სახელით და მოიცავდა ამჟამინდელი ქუჩის ზედა მონაკვეთს. ქვედა მონაკვეთი წარმოადგენდა **ბოლშაია ვოდოვოზნაიას** ქუჩის ნაწილს. სახაზინო თეატრის აშენების შემდეგ მას **თეატრალური** ქუჩის სახელითაც მოიხსენიებენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა **ანატოლი ლუნაჩარსკის** სახელობის, რომელსაც ატარებდა XX საუკუნის 80-იან წლებამდე.



სიმონ (სოლიკო) ვირსალაძის ქუჩა – წარმოიქმნა XIX საუკუნეში. მოქცეულია **მარი ბროსესა** და **გიორგი ათანელის** ქუჩებს შორის. 1841 წლის ტფილისის ქუჩების სიაში შეტანილია **ინჟინრის** სახელით, რადგან აქ განლაგებული იყო საინჟინრო უწყების დაწესებულებები. 1922 წელს გახდა **პარიზის კომუნის** სახელობის. 1980 წელს იბრუნებს ძველ სახელს, მაგრამ 1992 წელს ს.ვირსალაძის სახელი ენიჭება. სახლი №12-ში შემონახულია მისი მემორიალური სახელოსნო.

ჯამბულის ქუჩა - წარმოიქმნა XIX საუკუნის 30-იან წლებში **ვოდოვოზნაიას** ქუჩის სახელით, რომლითაც დატანილია ტფილისის 1876 წლის რუქაზე. მოქცეულია **მარი ბროსესა** და **რ.თაბუკაშვილის** ქუჩებს შორის. უკავშირდება ქუჩა-კიბით. 1965 წლიდან დღემდე ყაზახეთის სახალსო პოეტის ჯამბულის სახელს ატარებს. აქვს 1 შესახვევი, რომელსაც ადრე **მალაია ვოდოვოზნაიას** ეძახდნენ.

• უბნის განაშენიანების შესახებ

გარეთუბანი – სადაც საპროექტო ტერიტორია ისტორიულად მდებარეობს მოიცავდა ძველი ქალაქის გალავნის გარეთ - კალას ჩრ-ითა და დას-ით გაშლილ ადგილებს. იგი მოქცეულია დღევანდელი თავისუფლების მოედნის მიდამოებში -

შოთა რუსთაველის გამზირისა და ნ.ბარათაშვილის, აგრეთვე მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის. გარეთუბნის საზღვრებში შედიოდა რუსული სალდატსკი ბაზარი (დღევანდელი კოლმეურნეობის), საპიორნაიას (რ.თაბუკაშვილის) ქუჩა და ალექსანდრეს ბაღი მიმდებარე ტერიტორიებით.

ი.გრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ისტორიის ეთნოგრაფიული მუზეუმის, "ქარვასლის," აგრეთვე საჯარო ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული თბილისის ძველი გეგმების მიხედვით გარეთუბნის ტერიტორიის განაშენიანება უმთავრესად XVI–XVIII საუკუნეებიდან დაწყებულა და ევროპული ქალაქის შესატყვისი უბნის სახე XIX საუკუნის განმავლობაში მიუღია. ვახუშტისეული რუქის თანახმად სოლოლაკიდან ალექსანდრეს ბაღამდის გარეთუბანი მჭიდროდაა დასახლებული ქართველი არისტოკრატების საბინადროებით. საცხოვრებელი სახლებით იყო გაშენებული გარეთუბნის შუაგულში განთავსებული სამეფო ბაღების ჩრდილო ბოლოს მიდამოებიც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან გარეთუბნის გეგმარებაში სიახლე თავს იჩენს რეგულარული ხასიათითა და გადმოკიდებულ მოჩუქურთმებულ-აივნიანი ორ-სამ სართულიან სახლებთან ერთად ევროპული ქალაქების მსგავსი - დიდი მასშტაბის, ძირითადად რუსული კლასიციზმის სტილით გადაწყვეტილი ნაგებობათა განაშენიანებით.

უბნის გოლოვინად წოდებული მნიშვნელოვანი გზატკეცილისა თუ მისი ზედა და ქვედა ქსელის ქუჩების დიდ ნაწილის გეგმარება განხორციელდა XIX საუკუნის 30-იან წლებში ტოვარნიცკის მიწისმზომელთა საზოგადოების პროექტით. უპირველესად, ყურადღება გამახვილდა პროსპექტის განაშენიანებაზე, რომელიც XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან სანკტ-პეტერბურგში შექმნილი და იმპერიის ქალაქებში "დაგზავნილი" ევროპული ყაიდის, რუსული კლასიციზმის სტილით შესრულებული პროექტებით იწყება.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა უკვე ინდივიდუალური პროექტებით მიმდინარეობს და ერთდროულად ითავსებს კლასიცისტურ, რენესანსულ-ბაროკალურ, გუთური და ისლამური ხუროთმოძღვრების ფორმებს. აგრეთვე ნეორომანტიზმისა და ისტორიზმისაკენ მიმართულ ტენდენციებს, მათ შორის ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის ტრადიციებით აღორძინებულ ნაციონალური სტილის ნიშნებს.

1860-იანი წლებიდან მოყოლებული თბილისი ევროპული ქალაქის სახეს იძენს და პერპენდიკულარული თუ ურთიერთპარალელური ქუჩების ქსელით იფარება. ამ დროს გააშენეს ალექსანდრეს სახელობის ბაღი. 1880-1890წ.წ-ებში ხდება გოლოვინის პროსპექტის რეკონსტრუქცია, რომელმაც მტკვრისკენ პირით მიბრუნებული შეკიდულ-აივნიანი ხის სახლები მასშტაბური შენობებით შეცვალა, გაკეთდა კერამიკული მილების წყალ-გაყვანილობა (1862წ.) და შემოღებული იქნა სახლების ნუმერაცია (1892წ.). გაყვანილი იქნა კონკას ხაზი (1883წ)

XX საუკუნის დასაწყისიდან ეკლექტიკის, კლასიციზმისა თუ ამპირის სტილში გადაზრდილ მიმართულებებთან ერთად ფართოდ ვრცელდება მოდერნი არქიტექტურაში. ნაგებობები არცთუ იშვიათად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქგეგმარებით პროცესებში. ქალაქის ქუჩებში გაჰყავთ ტრამვაის ხაზი (1905წ).

XX საუკუნის მანძილზე ე.წ. სტალინური არქიტექტურის მონუმენტებით შევსებულმა გარეთუბნის განაშენიანებამ სტილისტურად "ჭრელი" ხასიათი მიიღო. დღესდღეობით, მისი არქიტექტურის ხიბლს სწორედ ეს მრავალფეროვნება იწვევს.

საპროექტო ტერიტორიის მიკროუბანი – **ტფილისის რუქების მიხედვით II საპოლიციო უბანში შედიოდა. სცს საისტორიო არქივში დაცულ 1898 წლის პლანშეტზე** ოპერის სახაზინო თეატრის უკან **სამხედრო საინჟინრო უწყების** (აღნიშნულია №42-ით) შენობას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. იგი ვოდოვოზნაიას პერპენდიკულარული ქუჩიდან, საპიორნაიას ასევე პერპენდიკულარულად განვითარებულ შესახვევამდე, საპიორნაიას ქუჩის ჰორიზონტალურ ღერძზე მთელ კვარტალს გრძივად ქმნის. ამავე დროს გვერდითა და უკანა ფასადებით გადის ვოდოვოზნაიას პერპენდიკულარ და პარალელურ ქუჩაზე და აქაც კვარტალურ განაშენიანებას აყალიბებს. აღნიშნული უწყების გადაღმა, მარცხნივ, ვოდოვოზნაიას მოსახვევის კუთხეში, პლანშეტზე მონიშნულია ასევე **სამხედრო საინჟინრო უწყების** (№9) შენობა. ქუჩის შემდეგი მოსახვევის მონაკვეთამდე მას აგრძელებს ერთი ნუმერაციით აღნიშნული ფართობი (№8). საარქივო ფოტოს მიხედვით უნდა გვიჩვენებდე გამწვანებულ მოედანსა და განაპირას განთავსებული გრძივი **შენობის** კვარტალს, რომელიც წაკვეთილი კუთხით ქუჩასთან ერთად ქვემოთ უხვევს. ამ ნაგებობების ზურგს უკან, რელიეფის დაბალ ტერასაზე ერთმანეთთან მიჯრით დგანან **საცხოვრებელი სახლები** (№7,6,5), რომელთა ფასადებიც ვოდოვოზნაიას ჰორიზონტალურად შეჭრილი ჩიხისკენ იხსნება. **საპროექტო ტერიტორიის ადგილას №7-ით აღნიშნული ნაგებობა ხვდება, რომლის განივი ფასადი ბოლშაია ვოდოვოზნაიას ქუჩისაკენაა მიმართული. პლანშეტის ნახაზი მის არასწორ სწორკუთხა მოყვანილობას ავლენს, რაც შენობის კუთხური მდებარეობითა და ამ მონაკვეთის მჭიდრო განაშენიანებით აიხსნება. კუთხისაკენ მდებარე მის ნაწილს, სიღრმეში მოქცეული მეორე ნაწილი სიგანეში სავარაუდოდ, 1, ან 2 მეტრით აღემატება, რაც სახლის მოგრძო სწორკუთხა ფორმას ზურგის მხარეს არასწორ კონფიგურაციას აძლევს. იგი ჩიხში განლაგებულ მეზობელ სახლებზე ზომით დიდია.** ჩიხს "კეტავს" პერპენდიკულარულად აღმართული და სიგრძეში გაზიდული დიდი **საცხოვრებელი სახლი** (№4). საცხოვრებელი სახლების (№7,6,5) მოპირდაპირე მხარეს, სადაც რელიეფი უფრო დაბლდება, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ "გახსნილი" **ფართო მოედანია** (№3) მონიშნული, სავარაუდოდ, მწვანე საფარით. ჩიხის განაშენიანება ამით ამოიწურება. ბოლშაია ვოდოვოზნაიას მარცხენა მხრის განაშენიანებას აგრძელებს დაფერდებული რელიეფის სხვადასხვა სიმაღლეზე აღმართული და ერთმანეთზე ზურგით მიბჯენილი, სიგრძეში გაზიდული **საცხოვრებელი შენობები** (№2,1). ზედას (№2) მთლიანად დაღმართი, ხოლო ქვედას (№1) სანაპიროს ქუჩა

იმავე მანძილზე უკავია. შენობების განივი ფასადები (№2 წაკვეთილი კუთხით უხვევს) ვოდოვოზნაიას დამაბოლოებელ პერპენდიკულარულ მონაკვეთზე გამოდის.

რაც შეეხება ქუჩის მარჯვენა განაშენიანებას, რომელიც საპიორნაიას შესახვევის შენობათა რიგს ბუნებრივად აგრძელებს, სახლების მჭიდრო მდებარეობით გამოირჩევა. საპიორნაიას შესახვევის კუთხეში პლანშეტზე აღნიშნულია მცირე მოცულობის **საცხოვრებელი** (№43). მას მიჯრით უახლოვდება ზომით აღმატებული **საცხოვრებელი შენობა** (№52), რომელიც საპიორნაიას შესახვევიდან ვოდოვოზნაიას საზღვრებში ნაწილობრივ გადმოდის. მასა და მეზობელ სახლს ერთმანეთისაგან მიჯნავს საგრძნობლად ვიწრო გამჭოლი ჩიხი (შუკა), რომელსაც როგორც შევნიშნეთ მალაია ვოდოვოზნაია ერქვა და უერთდება ასევე ვოდოვოზნაიას სახელობის (ახლანდელი ჯამბულის) პარალელურ ქუჩას. ჩიხის გადაღმა, გზის ზედა პერპენდიკულარულ მონაკვეთზე მცირე ზომის **საცხოვრებელი ნაგებობების** (№53,54) მჭიდრო რიგია განლაგებული. ქვედა მოსახვევის შემდეგაც, ქუჩის ჰორიზონტალურ ღერძზე მცირე ზომის **საცხოვრებელი შენობების** (№56,57) რიგი გრძელდება და კუთხეში სრულდება ვოდოვოზნაიას პარალელურ ტოტში შეჭრილი ტრაპეციისებური მოყვანილობის დიდი **საცხოვრებლით** (№57), რომელიც ვოდოვოზნაიას ტოტისკენ გრძივი ფასადით იხსნება. ქუჩის სანაპიროსაკენ ჩამავალ პერპენდიკულარულ მონაკვეთზე, ვოდოვოზნაიას ტოტის შესახვევსა და ინჟინრის აღმა ამავალ ქუჩებს შორის ორი **საცხოვრებელია** (№58,59) აღმართული, რომლებიც ქუჩების მოძრაობის შესაბამისად ერთმანეთის პარპენდიკულარულად დგანან და Г- ს ფორმის დაგეგმარებას ქმნიან.

საარქივო ფოტო – ლოკალურად მიკროუბანი თითქმის არ ხვდება ფოტოკამერის ობიექტივში, რაც როგორც ჩანს, იმ ფაქტმა განაპირობა, რომ იგი ძირითადად საცხოვრებელი რაიონია, რომლის გავლითაც მეთულუხჩეები მტკვრიდან წყალს ეზიდებოდნენ. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აღიბეჭდა ქალაქის პანორამის ხედებზე, სადაც უბნის ზედა ზღვარზე იმხანად საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფი ტფილისის ოპერის სახაზინო თეატრი იდგა. მოძიებული საარქივო ფოტო **სცს კინო-ფოტო-ფონო არქივში დაცული 1905 წლის ქალაქის პანორამაა, რომელიც ვიზუალურად ადასტურებს და ამასთანავე აკონკრეტებს პლანშეტზე ასახულ სიტუაციას.** კერძოდ, ოპერის უკან, საკმაოდ დიდ ფართობზე იშლება ერთმანეთის მიმართ პერპენდიკულარულად მდგარი **2-3 სართულიანი, გრძელი შენობების ანსამბლი,** რომლებიც მოგრძო სწორკუთხა ფორმის უწყვეტ დაგეგმარებას ქმნიან, შიდა ჩაკეტილი ეზოთი. ანსამბლი პლანშეტზე №42-ით მონიშნულ სამხედრო საინჟინრო ეწყების ადგილს შეესაბამება. ფოტოზე კარგად ჩანს, ანსამბლის გადაღმა, უკანა მხარეს, ვოდოვოზნაიას ქუჩის კუთხეში აღმართულია ასევე საინჟინრო უწყების **3 სართულიანი გრძელი შენობა,** რომელიც პლანშეტზე მონიშნულია №9-ით. მოცულობა ადგილის შესატყვისად ირიბადაა დაყენებული. იგი გრძივი ღერძით სიღრმეშია შეჭრილი და განივი ფასადით გამოდის ქუჩაზე. მასა და ჰორიზონტალურ ღერძზე განთავსებულ **მოგრძო 2**



სართულიან საცხოვრებელს შორის გამწვანებული მოედანია მოწყობილი. ფოტოს მიხედვით შენობას ჰქონია ქვედა ტერასისკენ მიმართული პერპენდიკულარული ფრთა, რომელიც მას **L** ფორმის დაგეგმარებას აძლევდა. განაშენიანების ქვედა დონეებზე 2-3 სართულიან სახლებთან ერთად ჩართულია 1 სართულიანი დაბალი სახლებიც. მტკვრის სანაპიროზე ხშირი მწვანე საფარი შეინიშნება. ცნობილია, რომ ერთი ხანობა მისი ტერიტორია ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა. ფერდზე, რომელსაც ინჟინრის ქუჩა ალექსანდრეს ბაღამდე აუყვება, ჭარბობს ბაღებით დაკავებული ნაკვეთები.

საარქივო ფოტო გვიჩვენებს ძირითადად ერთმანეთის მიჯრით, წითელ ხაზზე განთავსებული 2-3 სართულიანი შენობების განაშენიანებას, მოსახვევებში ჩართული კუთხური დაგეგმარების საცხოვრებლებითა და გამწვანებული მოედნებით, რომელთა ერთობლიობა არქიტექტურულ- მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ გამომსახველ ურბანულ ქსოვილს აყალიბებს.



• უბნის ურბანული განვითარება

ი.გრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ისტორიის ეთნოგრაფიული მუზეუმის, "ქარვასლის," აგრეთვე საჯარო ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული თბილისის ძველი გეგმების მიხედვით, უბნის ურბანული სახის ჩამოყალიბება XIX საუკუნის მანძილზე

მიმდინარეობს და მისი მიწურულიდან მოყოლებული XX საუკუნის მანძილზე მკვეთრი ცვლილებები არ განუცდია. ზემოთ განხილულ 1898 წლის პლანშეტსა და 1905 წლის სააქივო ფოტოზე ასახული სიტუაცია თითქმის 1990-იან წლებამდე მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია. უბნისა და საკუთრივ მიკროუბნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით გაჯერებული არქიტექტურა გარშემორტყმულია ე.წ. "ფონური" შენობებით – ევროპული ყაიდის ფასადებით, ლითონის აივნებითა და სადარბაზო შესასვლელებით, ძირითადად ეზოს მხარეს შემოყოლებული თბილისური ხის აივნებითა და შუშაბანდებით. მათი ერთობლიობა უბნის ურბანული განაშენიანების ძალზე თავისებურ, განუმეორებელ იერსახეს წარმოქმნის.

მიმდებარე ნაგებობები - სცს საისტორიო არქივის ფონდი №192, ანაწერი 8ა-ს საქმეებში, პლანშეტზე დატანილი სახლების პროექტების დათარიღება 1880-იანი წლებიდან იწყება, ხოლო მათ ადგილას წარმოებული ახალმშენებლობები XX საუკუნის დასაწყისს არ სცილდება. პროექტები ძირითადად შესრულებულია ძირითადად 2-3 სართულიანი სარდაფიანი სახლების. საჭექი ქვებით, პილასტრებით, ფრონტონებით, თაღებით, კარნიზებით, იმპოსტებით, განაპირა მხარეებზე რუსტებით შემკული კლასიცისტური ფასადები აქტიურად ნაწევრდება ლითონის აივნებითა და საპირეებიანი კარ-სარკმლების ფართო და მაღალი ღიობებით, პარაპეტიანი სახურავებითა და პარადული სადარბაზო შესასვლელებით. არცთუ იშვიათად ფასადი რიზალიტებიანია და გააჩნია დეკორატიული ნაძერწობები; მასკარონები, გირლანდებიანი ლარნაკები და სხვა მსგავსი დეტალები კლასიციზმის რეპერტუარიდან. ამასთანავე უკლებლივ ყველას აქვს ნაწილობრივ გახსნილი შიდა ეზო, რომელსაც ზედა დონეზე, ანდა დონეებზე უწყვეტად შემოუყვება თბილისური აჟურულ-მოაჯირიანი ხის აივანი-გალერეები, გარედან გვერდულად მიდგმული ზედა დონეზე ასასვლელი ხისავე კიბით,





XIX საუკუნის განაშენიანებიდან შემონახული ძეგლებიდან საპროექტო ტერიტორიას ზედა ტერასიდან გადმოჰყურებს კუთხისებრი გეგმარების ძველი აგურით ნაშენი ორსართულიანი **სახლი №4,** რომელიც ტიპობრივად და გეგმარებითი სტრუქტურის მიხედვით გალერეებიანია და ნაგებია XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. მარი

ბროსეს ქუჩის ზედა მონაკვეთისაკენ მიმართული მისი კლასიცისტური ფასადი სიმეტრიულად ნაწევრდება თაღშემოვლებული საპირეებიანი სარკმლებისა (23) და კარის (4) ღიობებით, ლითონის აივნებით (3) სადარბაზო შესასვლელით, დაგვირგვინებულია პარაპეტით. ნალესობით დაფარული ფასადი გაფორმებულია დენტიკულებიანი კარნიზით (3), იმპოსტითა და მასკარონისა თუ მცენარეული წნულების დეკორატიული ნაძერწობით. ქუჩის გვერდითა ფასადზე გაკეთებულია შუშაბანდი, მიუხედავად მინაშენებისა (2) და დაშენებისა, სრულადაა შემონახული სახლის ავთენტური არქიტექტურული ფორმები. იგი კოლორიტულ შთაბეჭდილებას ტოვებს ორმხრივად (უკან და გვერდით) გაახსნილი შიდა ეზოსა და ხის სვეტებიანი გალერეა-აივნებისა და შუშაბანდის გამოც, შიდა ფასადი ასევე გაფორმებულია კარნიზითა და კრონშტეინით. ეს საცხოვრებელი თბილისური სახლების ერთ-ერთი ტიპიური ნიმუშია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქუჩის ურბანული ქსოვილის შენარჩუნებაში.

ისტორიული ძეგლების სტატუსიდან გამომდინარე გაუხანგრძლივდა სიცოცხლე მარი ბროსეს ქუჩის პერპენდიკულარულ მონაკვეთზე, საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირედ აღმართულ კენტი ნუმერაციის **3 სართულიან აგურის სახლს (№3),** დაშენებითა და ლითონის მოაჯირიანი აივნებით (6), რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა. გეგმარება აქაც კუთხისებურია, სახლის სტრუქტურა შიდა ეზოთი, შეესაბამება გალერეებიან შენობას. მთავარი ფასადი კლასიცისტურია. სარკმლებისა (14) და კარის ღიობებით (7) დანაწევრება ამჯერადაც ინტენსიურია, უხვადაა გამოყენებული არქიტექტურული ელემენტები, როგორიცაა კარნიზი, პარაპეტი, იმპოსტი, ფრონტონი, კონსოლი (6), სვეტი, პორტალი, საპირე, პილასტრი. მათი ზედაპირი გაფორმებულია ლესვაში გამოყვანილი დეკორატიული ნაძერწობითა და მცირე პლასტიკით. ქუჩის გვერდითა ფასადზე







კარნიზისა და პარაპეტის გარდა გამოყენებულია ნიშები (6). სახლს აქედან აქვს გაჭრილი დეკორირებული სადარბაზო კარი, რომლის სივრცეში დამატებით განათებას შუქფარანი ქმნის. შიდა ეზო ამ შემთხვევაშიც ორმხრივად იხსნება და კრონშტეინებზე დაყრდნობილი ხის ჭვირულ-მოაჯირიანი, სვეტებიანი გალერეა-აივანი გასდევს, აქვე მოწყობილია შუშაბანდიც. ამგვარად ხნოვანობით, ტიპოლოგიურად და სტილური ნიშნებითაც ეს სახლი უახლოვდება ზემოთ განხილულ საცხოვრებელს. **№5-ში** მდებარე, აგურითა და ბლოკით ნაგები მომიჯნავე **2 სართულიანი ნაგებობა,** XIX საუკუნის ქრონოლოგიური ფენების ნაწილობრივი მატარებელია და მეტნაკლებად ინარჩუნებს არქიტექტურული ფორმების ავთენტურობას. იგი მეტ ინტერესს ხაზოვანი გეგმარებით იწვევს. საპროექტო ტერიტორიიდან აღიქმება კუთხეში მდებარე მოგვიანო პერიოდის (XXს-ის დასაწყისი) ცოკოლზე აღმართული **აგურის 2 სართულიანი სახლი №7,** რომელიც რუსული **П**-ს ფორმის დაგეგმარებისაა და ასიმეტრიული ფასადები აქვს. თუმცა ტიპოლოგიურად და გეგმარებითი სტრუქტურით გალერეებიანია. ქუჩის ფასადების არქიტექტურული ელემენტები მხატვრულ გამომსახველობას აღწევს დეკორატიული ლესვითა და მცირე პლასტიკით. შენობას უჩნდება სამერცხლული, სარკმლების ქვეშ დეკორატიული თარო, ხოლო აივნების ორიგინალობას განსაზღვრავს ხისა და ლითონის მასალათა ერთობლივი გამოყენება. შიდა ეზოს შესასვლელში შეკიდული ჭიშკრის ცხაური აჟურულია, ხოლო ფასადებს გააჩნია რიკულებიანი აივანი. შენობა მოხერხებულადაა ჩაწერილი ქუჩის კუთხეში და მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურული ფორმებით უკავშირდება ქროლოგიურად წინმსწრებ საცხოვრებლების ელემენტებს, უფრო მეტად თბილისური აივნიანი სახლის სტილურ ნიშნებს ატარებს.





საპროექტო ტერიტორიის უშუალო მეზობლად მდებარე **საცხოვრებელი №8,** ცალ მხარეს გახსნილი ეზოთი და შიდა აივნებით „ფონური“ ღირებულებისაა, მაგრამ მის გარეშე შეუძლებელია ქუჩის ურბანული ქსოვილის შენარჩუნება. იმავეს ვერ ვიტყვით საპროექტო ობიექტის ზედა ტერასიდან მომიჯნავე უახლოეს წარსულში აშენებულ კუთხის **სახლზე №6,** რომელიც კოტეჯის ტიპისაა და არქიტექტორის დიდი ძალისხმევის მიუხედავად (მაგალითად, მოსახვევისაკენ მიბრუნებული წაკვეთილი



კუთხის ელემენტი) სრულიად შეუსაბამოა, რითაც მკვეთრად არღვევს მიკროუბნის ინტიმურ გარემოს.

უბნის ურბანიზაცია თანამედროვე ეტაპზე -XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მარი ბროსეს ქუჩის თავსა და შუაგულში "ცარიელი" ადგილები ჩნდება. ამ პერიოდში ხდება საპროექტო ტერიტორიასა და ზედა ტერასის მომიჯნავე კუთხეში აღმართული ნაგებობების დაშლა. აეროფოტოების ქრონოლოგიის (2001წ-დან 2010 წლქმდე) მიხედვით მარი ბროსეს თავსა და ბოლოში შენობების ნგრევა 2006 წლიდან იწყება და 2010 წელს ახალმშენებლობებით სრულდება, რომელსაც ძველ განაშენიანებასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს.



საპროექტო ტერიტორია - XIX საუკუნის ბოლოდან, XX საუკუნის 90-იან წლებამდე საპროექტო ტერიტორიის განაშენიანება უცვლელია. პლანშეტის ნახაზისა და ადგილზე შემონახული სხვადასხვა ქრონოლოგიური შრეების ფრაგმენტების; საძირკვლის ნაშთების, ტერასის ფერდსა და მეზობელი ნაგებობის კედლებზე დატოვებული კვალის, აგრეთვე ახლად გაჭრილი სარკმლების ღიობების მიხედვით აქ მდებარეობდა საკმაოდ დიდი, არასწორი სწორკუთხა მოყვანილობის საცხოვრებელი ნაგებობა, რომლის ჩიხისკენ მოქცეული ნაწილი სიგანით აღემატებოდა კუთხის მხარეს მდებარე ნაწილს და მჭიდროდ უახლოვდებოდა მომიჯნავე ნაგებობებს.



ძველი შენობების მსგავსად სახლის სართულიანობა 3-ს არ აღემატებოდა. როგორც მათი უმრავლესობა მისი დაგეგმარებაც კუთხური უნდა ყოფილიყო, ტიპოლოგიურად და სტრუქტურულად გალერეებიანი, შესაძლოა, მასაც ჰქონოდა მანსარდი და ნაკლებად განიერი ნაწილის ზურგის გასწვრივ ჩაკეტილი შიდა ეზო, მარი ბროსეს ქუჩიდან მოწყობილი შესასვლელით. სავარაუდოდ, ეზოს მხარეს მასაც ექნებოდა ხის აივანი.

რეკომენდაციები – კანონის თანახმად დასაშვებია რიგითი "ფონური" ნაგებობის თანამედროვე გადაწყვეტით ჩანაცვლება, რომელიც მისადაგებული უნდა იყოს გარემოსთან და არ უნდა არღვევდეს უბნის ურბანულ ქსოვილს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას უბნის მორფოლოგიური თავისებურებები;

1. განისაზღვროს შესაბამისი საამშენებლო მასალა, ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებაში გამოყენებული იქნას აგური ბლოკთან ერთად.
2 ახალი მოცულობის მასშტაბი არ უნდა აღემატებოდეს ძველ ნაგებობებს, შეინარჩუნოს წინმსწრები მოცულობის პარამეტრები.
3 ქუჩისა და ჩიხის გადაკვეთაზე ამოყვანილმა კუთხის ნაგებობამ უპასუხოს გზის მრუდე მონაკვეთის პლასტიკას
4 ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებაში ჩამოყალიბდეს ახალი ნაგებობის გეგმარებითი სტრუქტურა.
5 ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებაში მოხდეს ფასადების მოდერნიზებული დანაწევრება

გამოყენებული ლიტერატურა.

თბილისის გამზირები მოედნები. ქუჩები, ენციკლოპედია, 2008
ო.ტყეშელაშვილი - თბილისის ქუჩები
თ, კვირიველია - ძველთბილისური უბნები, 1998
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს სააღრიცხვო ბარათები, მარი ბროსეს №3,4,5,7,

ხელოვნებათმცოდნე მაია იზორია მაია იზორია